# ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** ორშაბათი, 10 დეკემბერი № 1666

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა—უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе»**. ტელეფონი № 372.

**ნიკოლოზ, დავით და სიმონ ბესარიონის ძენი ლოლობერიძენი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ სამშაბათს, 11 ამ დეკემბერს, ქუთაისის საკათედრო ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში გარდახდილი იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი მათი ძმის

**გიორგი ბესარიონის ძის ლოლობერიძის**

სულის მოსახსენებლად. (2—206—2)

## საფაბრიკო საწყობი

**ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა**

**გ. ი. პალლიზენ**

რუევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

**ტფილისი**, გოლოვინის პროსპ. მანთაშევის სახლში. ✿ **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და ამუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი** № 679. (ნ. 0—34)

## კბილის საექიმო კაბინეტი

**ელისაბედ რომანიშვილისა**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიფოვის სახლი № 1.

**მკურნალი**

**მიხეილ გედევანიშვილი**

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, №16, საკ. სახლი, ტელეფონი. 791.

გამოვიდა და იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში:

**საქართველოს რუსეთთან შეერთება**

(რუსულად)

**მიხ. ხელთუფლიშვილისა,**

**ფასი 40 კაპ.**

ვინც ნაღდ ფულზე გამოიწერს არა ნაკლებ ათ ცალს, წიგნი დაეთმობი 30 კაპ. და ჩვენი ხარჯითაც გაეგზავნება—ადრესი. ქუთაისი, ალ. არაბიძე. (5—6.—3)

**ექიმი**

**კ. მ. ელიოზიშვილი**

ვიღებ ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 11—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**მიხეილ გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე**—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

**ი. ზ. ფიოდოროვი**—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

**ზ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

**ექ. ქალი მ. ხ. ბაქრაძე**—ბავშვებისა 11—12.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე,

**კ. მ. ელიოზიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

**ა. ზ. ბარსუკოვი.** დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^{1}/_{2}$—2 საათამდე.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

**ზ. მაღალაშვილი**—კვირაობით, 10—12 ს-დე.

**სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.**

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით, ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**ტელეფონი № 274.** (წლ.)

## ახალი ამბავი

◆ გუშინ თავად-აზნაურთა **საგანგებო კრების** სხდომები მოხდა დილას და საღამოსაც. კამათი მხოლოდ იმის შესახებ იყო, რას მოახმარონ უმაღლესად ნაბოძები ფული. უმეტესობა ორ ნაწილად გაიყო: ერთი მომხრე იყო კომისიის პროექტისა სტიპენდიების დანიშვნის შესახებ, როგორც უკვე გვქონდა ამბებში გამოცხადებული; მეორე ნაწილი მომხრე იყო ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინადადებისა იმის შესახებ, რომ დაარსდეს საშუალო-სამეურნეო სასწავლებელი ქუთაისისა და ტფილისის საზღვარზე ორთავე გუბერნიების თავად აზნაურთა ბავშვებისათვის; ხოლო თუ ეს პროექტი არ განხორციელდება, ეს მეორე ჯგუფი იმ აზრისაა, რომ ტფილისში დაარსდეს თავშესაფარი პანსიონი ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა მოსწავლე ახალგაზდებისათვის.

◆ **სამოსამართლო პალატას** გუშინ მთელი დღე სხდომა ჰქონდა ქალაქის გამგეობის ყოფილ წევრთა საქმის გამო; მოწმების ჩვენება არ დასრულებულა და დღესაც გაგრძელდება.

◆ გუშინ დანიშნული ქართულ **დრამატიულ საზოგადოების წევრთა კრება** არ შესდგა, რადგანაც კანონიერი რიცხვი წევრებისა არ გამოცხადდა. კრება გადიდვა შემდეგ კვირისათვის.

◆ დღეს, 10 დეკემბერს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია **საგანგებო კრება** ამ ბანკის რწმუნებულთა. კრებას მოხსენდება: 1) ნება მიეცეს ტფ. სათავად-აზნაურო ბანკს გამოსცეს გირავნობის ფურცლები იმავე უფლებით, როგორც საკრედიტო საზოგადოებათ აქვთ; 2) ნება მიეცეს ბანკს მიიღოს გირავნობის ფურცლები მათზე აღნიშნულს ფასში, როდესაც სახელმწიფო ბანკიდან გადააგირავებენ ამ ბანკში მამულებს. თუ კრებამ მოიწონა ეს ორი მოხსენება, მაშინ შუამდგომლობა უნდა აღიძრას მათ შესახებ ფინანსთა სამინისტროს წინაშე; 3) მოხსენება იმის გამო, რომ ბანკი დაეკითხოს ფინანსთა სამინისტროს ბანკის წესდების მე-104 მუხლის განმარტების შესახებ.

◆ ხვალ, 11 დეკემბერს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია საზოგადოების საბჭოს სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნება საკითხი, თუ რა წესით უნდა დაურიგდეს **დაჯილდოვებულ ექსპონენტებს** დიპლომები, მედლები და ქების ფურცლები.

◆ დღეს, 10 დეკემბერს, ტფილისის **საბჭოს მორიგი სხდომა** არ შესდგება.

◆ პეტერბურგიდან გვწერენ: „პეტერბურგში მცხოვრებ სიმონ ეგნატესძე პოლტარაცკიმ **შესწირა** ტფილისის მუსიკალურ სასწავლებელს და ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლას ოთხასამდე სხვა და სხვა წიგნი, მათ შორის ბევრი საყურადღებოც არის. წიგნები ამ მოკლე ხანში მოუვათ დანიშნულებისამებრ“.

◆ ოთხშაბათს, 12 ნოემბერს, ტფილილისის ოლქის სასამართლოში დანიშნულია განსახილველად **საქმე** ტფილისის შეძლებულ მოვაჭრის **ჯავახიშვილისა**, რომელსაც 10 მანეთისათვის **საყალბის** ჩადენა ბრალდება.

◆ ნოემბრის განმავლობაში ტფილისში შემდეგი სხვა-და სხვა **შემთხვევა და ბოროტ-მოქმედება** ყოფილა: ქურდობა—21, კაცის დაჭრა—2, ცეცხლის წაკიდება—2, მიგდებული ბავშვი უნახავთ—3, თავის-მოკვლის განზრახვა—1, გაცარცვა—1, კაცის მოკვლა—1; გარდა ამისა, უეცრად გარდაცვლილა 4 კაცი და 1-უბედურ შემთხვევისაგან მომკვდარა.

## კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენა

### ჯილდოების გამოცხადება

გუშინ, შუადღის 12 საათზე, კავკასიის მთავარ-მართებლის სასახლეში შეგროვდნენ გამოფენის უმთავრეს საორგანიზაციო და გამგე კომიტეტების წევრები, ექსპონენტები და სამეურნეო დაწესებულებათა წარმომადგენელნი. კრება გახსნა მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულმა ბ. მედვედევმა. შემდეგ მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ბ. სულტან-კრიმ-გირეი მთავარ-მართებლის სახელით მიესალმა კრებას და მიულოცა ექსპონენტებს გამარჯვება. შემდეგ საორგანიზაციო კომიტეტის მდივანმა ბ. პერევოზნიკოვმა წაიკითხა დაჯილდოვებულთა სია. პირველი ჯილდოა—საპატიო დიპლომები, მეორე—ოქროს დიდი მედლები, შემდეგ—ოქროს პატარა მედლები, ვერცხლის დიდი და პატარა მედლები, ბრინჯაოს მედლები და ქების ფურცლები. კრების დასასრულ კომისარმა თავ. ანდრონიკაშვილმა მოკლე სიტყვით მიჰმართა ექსპონენტებს.

**საპატიო დიპლომებით დაჯილდოვებულ იქმნენ:**

ფრიდონოვი (ბაღოსნობა), კუჩენბახი (ყველისათვის), შადინოვი (მერძეობისათვის), პოპოვი (ჩაი), აღმოსავლეთ კავკასიის თევზით მრეწველობის მმართველობა, ფითოევი და ამხანაგობა (თევზისათვის), ძმ. ტიცი პიატიგორსკში (ფქვილი), ბარანოვი ჩრდილოეთ კავკასიაში (ფქვილი), დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ბორჯომის მამული (მინერალურ წყლის გავრცელებისათვის), ადელხანოვის სააქციონერო ქარხანა (ტყავის წარმოებისათვის), ა. ა. ენფიანჯიანცი (თამბაქოსათვის), კავკასიის სამთო-სამეტალურგიო საზოგადოება, ბაქოს ნავთის მრეწველთა კრება, კავკასიის სამთო სამმართველო, ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი, ტფილისის ქალაქის დედათა საპროფესიონალო სკოლა სახელოსნო, კავკასიის ოლქის სამხედრო საექიმო ნაწილის მმართველობა (საჭმელ-სანოვაგის გამოკვლევისათვის), ტფილისის ქალაქის სამმართველო (სანიტარულ ნაწილისათვის), კავკასიის სამხედრო სამკურნალო ლაბორატორია (სამეცნიერო სამუშევრებისათვის), ტფილისის მეორე ვაჟთა გიმნაზია (შენობისათვის), ვაჟთა პირველ გიმნაზიას (მანგლისში პანსიონის გამართვისა და საფიზიკო აღზრდისათვის), ბაქოს ვაჟთა გიმნაზია (კუსარაში კალონიის გამართვისათვის), კავკასიის სამოსწავლო ოლქი (განათლების მოღვაწეობისათვის), სამასწავლებლო ოლქის ინსპექტორები: შენგერი და ლოპატინსკი, ამიერ-კავკასიის სამასწავლებლო სემინარია გორში, მხატვრები ხაინკოვსკი და ლონგა, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად ნამყოფი კ. პ. იანოვსკი, ტფილისის დედათა წმ. ნინოს სახელობის საზოგადოების საბჭო, კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობა, მხატვარ-მექანდაკე ხოდოროვიჩი, მუზეუმის დირექტორი რადდე, დ. ზ. სარაჯიშვილი (კონიაკისათვის), ფორერი (მეურნეობისათვის განჯაში), საუფლისწულო უწყება, ამ უწყების ღვინის სარდაფის მმართველი გოგოლ-იანოვსკი.

**ოქროს დიდი მედლებით:**

პრინცესა მიურატისა ზუგდიდში (კანაფის წარმოებისათვის), ტფილისის ბაღოსნობის საზოგადოება „ფლორა“, გორის მემამულე ფურცელაძე (ბაღოსნობისათვის), ზიულგადაროვი და ი. გ. ორბელიანი (ცხენებისათვის), გრ. შადინოვი (ღორებისათვის), მელიქიშვილისა ბორჩალოს მაზრაში (ქათმებისათვის), მათეოსოვი (ყველისათვის), მელიქ-ბახტამიანცი (რძისათვის), ამაღლების სოფლის სკოლა აღმოსავლეთ კავკასიაში, ბარხუდაროვი, ზურაბოვი და ამხანაგობა (მეფუტკრეობა ბორჩალოს მაზრაში) ინჟენერი პასსეკი (მატყლის საწმენდ მანქანისათვის), ოქრომჭედელი მაიზელსონი ტფილისში, ინჟინერ ხანაგოვი (წყლის საქაჩავ მანქანისათვის) პეტროვსკის სამანუფაქტურო ამხანაგობა, მირზაბეგოვი ბაქოში (თამბაქოსათვის), დ. ზ. სარაჯიშვილი (არაყისათვის), სოგომონოვი (არაყისათვის), მასიუ მეკანდიტრე, ტიცი (აღმოსავლეთ კავკასიაში წისქვილისათვის), ბაწრის მკეთებელი სააქციონერო საზოგადოება ბაქოში ალიბეგოვისა და ამხანაგობა, მხატვარი შილდერი (ნობელის პანორამის გაკეთებისათვის), ანასტასიას სახელობის დედათა პროგიმნაზია გორში, ავლაბრის დედათა სასწავლებელი, ბორჯომის „საქველ-მოქმედო სასწავლებელი, ტფილისის რეალური სასწავლებელი, ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელი, ახალციხის ქალაქის სასწავლებელი, მებაღე ი. ი. მეიერი, ექიმი პროზოროვსკი (ყვავილის ამცრელ სადგურისათვის), ბაქოს ქალაქის გამგეობა, ალექსანდრეს სახელობის ინსტიტუტი—ტფილისში, ლიტოგრაფია მესხიშვილისა, ფოტოგრაფია კლარისა, მხატვარი გაბაშვილი და სურენიანცი, მექანდაკე ანდრიოლეტი, ტფილისის სამხატვრო სასწავლებელი.

**პატარა ოქროს მედლებით:**

შელკოვნიკოვი (ამერიკული ბამბისათვის), შარაშიძე (სამეურნეო სასწავლებლის დაარსებისათვის), წინამძღვარიანთ სკოლა, ხუბლაროვი (კონიაკისთვის), აფრიკიანცი (ხილეულობისათვის), ინჟენერი ბერეზოვსკი (ტყის მოშენების ცდისათვის), ფორერი (ღვინისათვის), ბათუმის ქალაქის სასწავლებელი, ენფიანჯიანცი (ვაშლისათვის), კაიშაური (ღორების მოშენებისთვის) დ. ზ. სარაჯიშვილი (იხვებისათვის) ალექსანდერდორფის კალონია (ყველის კეთების ამხანაგობის დაარსებისათვის), ქუთაისის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა, საჩხერის სასწავლებელი, აკოფოვი (წიგნების კაზმვისათვის), ყარაევი აღმოსავლეთ კავკასიაში (შინად მრეწველობის ვერცხლის ნაწარმოებთათვის), ტკაჩენკო ტფილისში (შინად მრეწველობის ნაწარმოებისთვის), ფილიპოსიანცი (სა-

კანდიტერო, (შოკოლადისათვის) სააქციონერო საზოგადოება ალიხანოვისა, თაიროვისა, ტოლესა და ამხანაგობის (საპნის ქარხნებისათვის), ვეტცელი (ლუდისათვის), ბოზარჯიანცი (თამბაქოსათვის), „მირი“ (თამბაქო) მიხეილის სატეხნიკო რკინის გზის სასწავლებელი ტფილისში, მიწის მზომელთა სასწავლებელი ტფილისში, ეკატერინოდარის დედათა გიმნაზია, განჯის დედათა გიმნაზია, ქუთაისის დედათა უფასო სასწავლებელი, ბაქოს უმცროსი სახელოსნო სასწავლებელი, სახელოსნო სასწავლებელი ეისკში, სახელოსნო სასწავლებელი განჯაში, ნადეჟდას ბავშვთა თავშესაფარი ტფილისში, ბაქოს სახელოსნო სასწავლებელი, ტფილისის დედათა პირველი გიმნაზია, მესაათე გენე, დიუსტერდიკი (ლიტოგრაფია), გროსსი (ფორტოფიანოს მკეთებელი), ზანისი და მიშჩენკო (ფოტოგრაფები) და ტფილისის მიხეილის სამკურნალო.

(შემდეგი იქნება)

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.

8 დეკემბერს ტფილისის საბჭოს დარბაზში მოხდა საგანგებო კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა. კრება გაიხსნა 12 საათზედ თავმჯდომარეობდა გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. დ. ზ. მელიქიშვილი.

თავ. მელიქიშვილმა კრების გახსნისთანავე მოაგონა დამსწრეთ საიუბილეო დღესასწაულები საქართველოს სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების გამო და გაახსენა ის უმაღლესი მოწყალებაც, რომელიც ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ბძანა ამ დიადი დღის აღსანიშნავად ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების კეთილშობილთა საჭიროებისათვის სახელმწიფო ხაზინიდან ეძლეოდეს ყოველ წლივ 40,000 მან. შემდეგ წაიკითხეს მოსალოცავი ტელეგრამები საქართველოს რუსეთთან შეერთების გამო; ეს ტელეგრამები წარმოგზავნილია მთელი რუსეთის გუბერნიების წინამძღოლთაგან და აღვსილია ძმურის სიყვარულის გამოცხადებით და ბედნიერების სურვილით.

შემდეგ ამისა ბ-ნ გუბერნიის მარშალმა მოახსენა კრებას, რომ მიღებულ ტელეგრამებზედ პასუხები დავამზადეთო, და თქვენის გადაწყვეტილებით გავგზავნითო. წაიკითხეს საპასუხო ტელეგრამები და კრებამ გაგზავნის ნება დართო. შემდეგ ამისა დაიწყო საზოგადო კითხვები.

პირველად ილაპარაკა თ. იოსებ შალიკაშვილმა, რომელიც შეეხო აქციზის ახალ წესდებას. თ. შალიკაშვილმა სთქვა, რომ მეტად სამძიმო და დამამხობი გხდა მემამულეთათვის არაყზედ დადგენილი ახალი აქციზიო მე სამაგალითოდ ჩემს საკუთარ ქარხანაზედ მოგახსენებთ, რომელსაც მე თითონ თვალ-ყურს ვადევნებო. ხარჯი ძალიან ბევრი გვაქვსო: ქარხნის მოწყობა, მუშები, ავეჯი და ათასი თავში ცემაო, ეს ყველას მოგეხსენებათო. ახლა იფიქრეთ, ახალი აქციზის წყალობით მემამულეს რა რჩებაო. წელს წმინდა შემოსავალი მე დამრჩა 187 მანეთი და სააქციზო კი 324 მან. გადავიხადეო ეს გამოდის 134 $^0/_0$. აბა აქ რა უნდა გააწყოს მემამულემაო, დასძინა თ. შალიკაშვილმა, მით უმეტეს, რომ ჩვენი, კახელების, ერთად ერთი სამრეწველო საგანია ღვინო და არაყიო. ამისთვის ვთხოვ თავად აზნაურობას, იშუამდგომლოს ამის შესახებაო. კრებამ დაადგინა, აირჩიოს კომისია, რომელმაც დაწვრილებით უნდა აღნუსხოს ამ საქმის წარმოება და აგრეთვე განზრახული ღვინის მონოპოლიის შესახებაც და წარუდგინოს კრებას, რომელიც, განხილვის შემდეგ, წარადგენს, სადაც ჯერ არს. კომისიის წევრებად აირჩიეს თ.თ. ლ. ჯანდიერი, ი. შალიკაშვილი. ვ. მაჩაბელი, ს. ვახვახიშვილი და გ. ჟურული. ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა წევრობაზედ საქმეებისა გამო. შემდეგ ლაპარაკი ჩამოვარდა კავკავის კადეტთა-კორპუსზედ და მაზედ, თუ როგორ უნდა გვესმოდეს უმაღლესი ბძანების ის მუხლი, სადაც არის ნათქვამი, რომ „ამ კორპუსში (კავკავში) უნდა აღიზარდნენ სამხედრო პირთა შვილები ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა და ზაქათალის ოლქისა“. ამაზედ დიდი ბაასი ატყდა: ვინ უნდა ვიგულისხმოთ ზაქათალის ოლქის თავად-აზნაურადაო, რადგანაც იქ თავად-აზნაურები არ არიანო. ყველამ თავისი აზრი წარმოსთქვა, მაგრამ საქმე მაინც გამოურკვეველი დარჩა. ბავშვების კადეტთა კორპუსში მიცემის შესახებ გამოირკვა, რომ სიები უნდა შედგეს დეპუტატთა საკრებულოში, სადაც თხოვნები უნდა შეიტანონ; ამ სიებს გასინჯავენ მაზრის მარშლების თანადასწრებით და შემდეგ გუბერნიის მარშლის და გუბერნატორის შეთანხმებით წარადგენენ მთავარ მართებელთან დასამტკიცებლად. ამის შემდეგ აღიძრა მთავარი კითხვა, როგორ და რაში უნდა მოიხმაროს თავად აზნაურობამ ხელმწიფისაგან ნაბოძები ყოველ-წლივ 20,000 მან თავად-აზნაურთა საჭიროებისათვის.

(შემდეგი იქნება)

## დეპეშა

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

### 8 დეკემბერი

**პეტერბურგი.** «პრავიტ. ვესტნიკ»-ში დაბეჭდილია: «21 ნოემბერს, ვარშავაში, შუადღის 12 საათზე, «იერუსალიმის ალეაზე», სადაც მრავალი ხალხი სეირნობდა, გამოჩნდა პატარა ჯგუფები, რომელნიც შესდგებოდნენ 6—10 კაცისაგან, უმეტესად მოსწავლეთაგან, და რომელნიც მარშალკოვსკის ქუჩისაკენ მიდიოდნენ. ეს ჯგუფები შეერთდნენ და გაჩერდნენ გერმანიის საკონსულოს სადგომის წინ; შეკრიფილებმა, რომელთა რიცხვი 80-მდე იყო, დაუშინეს ქვები, ჯოხები და სხვა საგნები საკონსულოს ქვედა სართულის ფანჯრებს, სადაც კანცელარია არის მოთავსებული, და ზედა სართულისას, სადაც თვითონ კონსულის ბინაა; ამასთანავე მათ ჩამოგლიჯეს საკონსულოს დროშა, დაამტვრიეს იგი და ქუჩაში გადისროლეს. ეს უწესობა, ყვირილი და სტვენა, ცოტა ხანს გაგრძელდა: მიღებულის ღონისძიებით წესიერება აღდგენილი იქმნა და ბევრი მანიფესტანტი კიდეც დააპატიმრეს. გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით, დამნაშავე 21 კაცი დასჯილ იქმნებიან გენერალ-გუბერნატორის სავალდებულო დადგენილების მიხედვით; სახელდობრ, დაპატიმრებულ იქნებიან ორი კვირიდან 3 თვემდე: ვარშავის უნივერსიტეტის 9 სტუდენტი, პოლიტეხნიკუმის 3 სტუდენტი, 4 მოსწავლე კერძო სასწავლებლებისა და 5 სხვა-და-სხვა წოდების პირი. დემონსტრაციის დღეს გენერალ-გუბერნატორმა თავისი მწუხარება გამოუცხადა ამ შემთხვევის გამო გერმანიის კონსულს და მეორე დღეს ოფიციალურად სადარბაზოდ იყო მასთან. 27 ნოემბერს გერმანიის საკონსულოზე კვლავ გამოჰკიდეს დროშა.»

დაინიშნენ: მე-6 სამხედრო კორპუსის უფროსი ინფანტერიის გენერალი გრიპენბერგი ვილნოს სამხედრო ოლქის ჯარების უფროსის თანაშემწედ; მე-14 ქვეითა დივიზიის უფროსი გენ.-ლეიტენანტი ფადეევი—მე-6 სამხედრო კორპუსის უფროსად.

**ბომბეი.** სულთანმა გაუგზავნა კოვეიტში შეიხს მაბარუკს ელჩი და სთხოვა კონსტანტინეპოლში ჩამოვიდეს და მორჩილება გამოუცხადოს სულთანს, როგორც მის მფარველს. სულთანი დასჯას ემუქრება შეიხს, თუ არ აასრულებს მის ბრძანებას. სულთანის ელჩი მოვიდა აქ ოსმალეთის გემით, მაგრამ, როგორც ხმა არის, ნაპირზე გადმოსვლის ნება არ მისცეს. მაბარუკმა კიდევ ერთხელ მიჰმართა ინგლისს და სთხოვა მფარველობა, რადგანაც ოსმალეთის სულთანიც ემუქრება და სულთანი ნეჯდიც, რომელსაც, როგორც ამბობენ, ოსმალეთის ჩაგონებით ჯარები შეუგროვებია შეიხის წინააღმდეგ. ამ ჟამად კოვეიტში იმყოფება ორი ინგლისური სამხედრო გემი.

**კიევი.** ამ ჟამად ადგენენ სამხრეთ-დასავლეთის ბეითალთა საზოგადოების წესდებას. საზოგადოების საგანი იქნება—ბეითლობის სამეცნიერო კითხვებისა და საქონლის მოშენების საქმის შესწავლა-განხილვა. განზრახულია გამოსცენ პოპულარული თხზულებები საქონლის მოვლა-მოშენების შესახებ და იკითხონ საჯარო ლექციები.

**ლონდონი.** 7 დეკემბერს რუსეთის დელეგატებმა დაათვალიერეს ლონდონში ხორბლის ბირჟა და ნავთსადგური, სადაც რუსეთისათვის გემებს აშენებენ. დელეგატები საღამოს წავლენ აქედან.

**ლონდონი.** როგორც ხმა არის, დაუყონებლივ შეაგროვებენ იომანრის ჯარის 2000 კაცს და იანვრისა და თებერვლის განმავლობაში სამხრეთ-აფრიკაში გაგზავნიან. საღამოს გამოცხადდა სამხედრო სამინისტროს ბრძანება იმის შესახებ, რომ უნდა შესდგეს მილიციის 6 ახალი ბატალიონი:

**გრააფრეინეტი.** 7 დეკემბერს დაიწყო ბურთა სარდლის შეპერსის საქმის გარჩევა; მას სხვათა შორის, ბრალდება: ინგლისელის არსონის მოკვლა, მატარებლების ლიანდაგიდან გადაგდება და ტყვეების წვალება. სულ შეპერსს 30 სხვა-და-სხვა დანაშაულობა ბრალდება.

**ლონდონი.** «ტაიმსა»-ს ატყობინებენ ბრიუსელიდან: ლეიდსმა სთქვა, რომ როზბერის განცხადება, ვითომ ბურები სწყვეტენ მკვიდრთ, საშინელი ცილის წამება არისო. შემდეგ ლეიდსმა განაცხადა, რომ არავინ იმათგან, ვისაც მოლაპარაკება ჰქონია ბურებთან, უკანასკნელთ არც გაულახავთ, არც მოუკლავთ; პირიქით, ვინც ინგლისელ სარდლებისაგან მოვიდა მოსალაპარაკებლად, ყველას მეგობრულად იღებდნენ ბურებიო; რაც შეეხება მორგენდალს, რომელიც დევეტის ბრძანებით დახვრიტეს, ის შუა-კაცი არ ყოფილა და მოსალაპარაკებლად როდი მოსულა ბურებთანაო.

**პარიზი.** კასსანიაკი სწერს «ოტორიტე»-ში, რომ თავის წერილის გამო, რომელიც შეეხებოდა გერმანიასთან საკოლონიო შეთანხმებას, მას ბევრ საპატიო პირთაგან თანაგრძნობის წერილი მოუვიდა; ისინი კასსანიაკს ულოცავენ მამაცობას ასეთ პროექტის წამოყენებისათვის. კასსანიაკი აცხადებს: «მის შემდეგ, რაც საფრანგეთმა მიიღო მონაწილეობა კილში გამართულ დღესასწაულში და მის შემდეგ, რაც ჩინეთში თავისი ჯარები გერმანიის სარდლის უფროსობის ქვეშ მისცა, მამაცობა აღარ არის ვურჩიო საფრანგეთს გერმანიასთან შეთანხმება. საფრანგეთის ღირსებისათვის დამამცირებელი არ იქნება ამ გვარი შეთანხმება; ამ შეთანხმებას დროებითი ხასიათი ექნება და მტკიცედ აღნიშნული საგანი. გერმანიასთან კავშირი კი შეუძლებელია. ეს დანაშაულობაც იქნებოდა.» სხვათა შორის, კასსანიაკი თხოულობს წერილს ერთის წარჩინებულის დიპლომატისას, რომელიც ამბობს, რომ ინგლისს ეშინია რუსეთის, საფრანგეთის და გერმანიის შუა საკოლონიო შეთანხმებისა და არასოდეს არ დაზოგავს, რომ ამ შეთანხმებას ხელი შეუშალოს. ინგლისს იმედი აქვს, რომ ამ შეთანხმების წინააღმდეგი იქნებიან ვალდეკ-რუსსოს სამინისტროს სამი წევრი.

**იოკაჰამა.** სეულიდან იტყობინებიან, რომ კორეის მთავრობა ნებას არ აძლევს იაპონიას ტელეგრაფი გააკეთოს კორეის ზღვის ნაპირებზე, რადგანაც კორეა თვითონ ჰფიქრობს ამ საქმის ასრულებას.

**პარიზი.** პალატა. სოციალისტი კალიარი ეკითხება მთავრობას ორის პოლკის ჯარის კაცთა შემოდგომის აღლუმზე დაღალვის შესახებ. სამხედრო მინისტრი აცხადებს, რომ ოფიცერთა უმრავლესობა მოვალეობას ერთგულად ასრულებსო; კალიარის მიერ წარმოდგენილ ფაქტიდან ზოგიერთი მართალიაო და პირობას აძლევს პალატას საქმეს გავასწორებო. პალატამ მოიწონა მთავრობის განცხადება ამ საქმის გამო და შეუდგა მორიგ საქმეების განხილვას.

**პადებარნი.** «ვესტფალის სახალხო გაზეთის» სიტყვით, ნაშუადღევს სამგზავრო მატარებელი დაეჯახა ბერლინიდან მომავალ მატარებელს. როგორც ხმა მოდის, ოც კაცზე მეტი დაჭრილია და ექვსიც მოკლული.

**ბათუმი.** 7 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე კასპიისა და შავი ზღვის სანავთო სავაჭრო საზოგადოების ქარხანაში ცეცხლი გაჩნდა ერთის მუშის გაუფრთხილებლობისა გამო. ცეცხლი მოედო საზოგადოების სახელოსნოებს; შემდეგ გადავიდა საზოგადოების ტყის მასალის საწყობზე. კარგის ამინდის გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ ბევრი მუშა შეაგროვეს, წყალიც ბლომად იყო და ცეცხლის საქრობი მანქანებიც, ცეცხლი ჩააქრეს მეორე დღის დილის 5 საათზე. დაიწვა დიდ-ძალი ხის ყუთი, ტყის მასალა და სხვა-და-სხვა ზეთი. სულ 230,000 მანეთისა. დამწვარი საქონელი დაზღვეულია «როსსია» და «სევერნი» საზოგადოებაში.

**ვარშავა.** ვარშავის სახალხო სკოლების მასწავლებელთა ჯამაგირების მომატებაზე კითხვა აღიძრა. სახალხო სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 7,533 აღის. 1 იანვრიდან შემოიღებენ აქციზს ლუდზე იმის მიხედვით, თუ რამდენს ახმარებენ ქერს, რომელსაც ავტომატურ სასწორის საშუალებით გამოარკვევენ. იაბლონო-ვავერსის რკინის გზის შტოს მმართველობამ გადასწყვიტა დააზღვიოს შტოზე ყველა მსახური უბედურ შემთხვევისაგან.

**პარიზი.** გაზეთ «ნიუ-იორკ-ჰერალდი»-ის აქაურ გამოცემაში დაბეჭდილია ბურების დელეგატ ვოლმარანის, რომელიც ამჟამად უტრეხტშია, და ამ გაზეთის კორესპონდენტის ბაასის ანგარიში. როზბერის სიტყვის გამო ვოლმარს უთქვამს: «ბურების დელეგატები ბედნიერები იქმნებოდნენ, თუ კი ინგლისის კაბინეტი და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკების მთავრობა მორიგდებიან. ინგლისმა რომ მცოდნე წარმომადგენლები გამოგზავნოს ჰოლანდიაში და დელეგატებს თავიანთ პირობები, რომლებიც საფუძვლად დაედება სამშვიდობო მოლაპარაკებას, იგინი დიდის სიამოვნებით მიეგებებოდნენ, და შესაძლოა ამ გზით შეიძლებოდა ბოლო მოჰღებოდა ომს.

**ლიონი.** პარის ლიონ-ხმელთა შუა ზღვის რკინის გზას მატარებელი დაეჯახა საქალაქო ტრამვაის ვაგონს. სამი კაცი მოკვდა, რამდენიმე დაიჭრა.

**კასსელი.** რკინის გზის მმართველობა კასსელში აცხადებს, რომ ალტენბეკენთან მატარებლის დამსხვრევის მიზეზი მესრის შეუწყნარებელი დაუდევრობაა.

**პადებორნი.** ოფიციალურად. მატარებელი «Д» უნდა დამდგარიყო პადებორნ-ალტენბეკენის ლიანდაგზე, რადგანაც მატარებელს ქვეშ ცხენი მოჰყვა. სახალხო მატარებელი ზედ წააწყდა დამდგარ მატარებელს. ხუთი კაცი მოკვდა, ათი ძლიერ დაშავდა, 12 მგზავრი და 6 მსახური სუბუქად დაშავდა. მკვდრები და დაშავებულები პადენბორნის საავადმყოფოში მიიტანეს.

**პეკინი.** იუან-შიკაიმ მიიწვია იაპონიის ოფიცრები სამხედრო სკოლებში მასწავლებლებად. იაპონია მზად არის გაგზავნოს ჩინეთში თავისი გენერალი ჩინეთის ჯარების ევროპიულად გაწვრთნისთვის.

**ბომბეი.** კოვეიტის ნავთ-სადგურში მოვიდა რუსეთის კრეისერი «ვარიაგი» გემის უფროსმა ინახულა მასკატსკის სულთანი. რუსეთის ექიმები იყვნენ ორმუზში და კიშიმში და გაიცნეს ადგილობრივი სანიტარული მდგომარეობა.

**ლონდონი.** რუსეთის დელეგატებმა დეპეშით მადლობა გარდაუხადეს ინგლისის მეფეს, რომელმაც ნება მისცა მათ დაეთვალიერებინათ ვინძორში მეფის მამულები; ინგლისის მეფემ ბრძანება გასცა, რომ გადასცენ კრიუკოვს მეფის სიამოვნება იმის გამო, რომ რუსეთის დელეგატებმა მისი მამული დაათვალიერეს.

### 9 დეკემბერი

**პეტერბურგი.** ჩერნოგორიის თავად ნიკოლოზ I მე-15 მსროლელ პოლკის სიებში აღნიშნულ მათ უდიდებულესობის შვილს მარკოს ებოძა კაპიტნობა. ჩერნოგორიის თავადმა ავადმყოფობის მიზეზით რამდენიმე დღით გადასდო გამგზავრება. პერმის გუბერნატორისაგან წარდგენილ ცნობების თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტრომ სცნო მოუსავლიანად პერმის გუბერნიის შემდეგი მაზრები: ვერხოტურსკი, ირბიტსკი, კამიშლოვსკი და შადრინსკი. უმაღლესი ბრძანებით, დიდ მთავარ ალექსანდრეს თავმჯდომარეობით, შესდგა მოლაპარაკება საზღვაო ვაჭრობის დებულების პროექტის შესადგენად.

**ბაქო.** 8 დეკემბერს გაიხსნა ნავთის მწარმოებელთა მე-XVI კრება, მიწად-მოქმედების საბჭოს წევრის სამთო ინჟენერ დევის თავმჯდომარეობით. 8 დეკემბერს ღამის პირველ საათზე თავის სახლში გაცარცვა პავლე ასლანოვი ბოროტ-განმზრახველთა ბრბომ.

**ორენბურგი.** 25 ნოემბერს სტანიცა კუნდრავინსკში მოხდა საშინელი მიწის-ძვრა.

**პარიზი.** 265 მილიონის სესხისათვის ხელის მოწერა გაიმართა პარიზის საკრედიტო დაწესებულებებში და კერძო ბანკებში, საერთო ჯამი შეკრებილისა აღემატება მოსალოდნელს. დასასრულ აღმოჩნდა, რომ შეკრებილი ფული 24-ჯერ აღემატა სესხს. მარტო პარიზში აღემატა 23-ჯერ; პარიზის ხაზინაში შეტანილია 933,315,000.

**გარისმიტი.** გენერალი დარტნელი მცირე მხედრობითა და იომანრებით 5 დეკემბერს დანგბერგს ახლო შეებრძოლა დევეტს, რომელსაც 800 კაცი ჰყავდა და თანაც ერთი ზარბაზანი. 4 საათის ბრძოლის შემდეგ ბურები გაჰფანტეს. გენერალი კამპბელი, რომელიც ბეთლემიდან მოვიდა, აგრეთვე იღებდა მონაწილეობას ამ ბრძოლაში. ბურებს მოუკლეს 5 კაცი, 20 დაუჭრეს და 2 ტყვედ წაიყვანეს; ინგლისელებს მოუკლეს ერთი, დაუჭრეს 4 ოფიცერი და ათი ჯარის კაცი.

**რეველი.** 7 დეკემბერს ინგლისის გემი «გეპხედი», რომელიც ბელფასტიდან მოდიოდა და თან ბამბა და სხვა საქონელი მოჰქონდა, კუნძულ ბულფასთან დაშავდა. გემში წყალი შედის. ბალტიის საზოგადოების სამი გემი დღე და ღამ მუშაობს და რამდენიმე საქონელი გადაარჩინეს კიდეც.

**სოფია.** სამინისტროს კრიზისი გათავდა; ეხლანდელი კაბინეთი დარჩება. საერო კრება სულ მოკლე დროში დაიწყებს თავის მოქმედებას.

---

გამომცემელი და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

Дозволено цензурою. Тифлисъ. 9 Декабря 1901 г.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.